ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**კობა ჩალაძე**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2019 – 01.11.2020
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი;
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი 2. საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი
დროებითი სამუშაო ჯგუფები:	1. საკრებულოს სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი 2. ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი
ფრაქციის დასახელება:	1. ფრაქცია „რუსთავის განვითარებისთვის“ -ს წევრი

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 24 (13 რიგითი, 11 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 23 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

  დადგენილება - 67;

  განკარგულება - 136.

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

  ა) კომისიები:

  - ✓ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია:

    ჩატარდა: - 13 სხდომა; დასწრება: - 12 სხდომა

  - ✓ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია:

    ჩატარდა: - 6 სხდომა; დასწრება: - 5 სხდომა

  ბ) სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

  ჩატარდა: - 1 სხდომა; დასწრება: - 1 სხდომა

  - ✓ ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი:

    ჩატარდა: - 2 სხდომა; დასწრება: - 2 სხდომა

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

  ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

  ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

  გ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

  დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2019-2020 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები

❖ **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

1. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M2კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დადგენილი ფასის შესწავლის მიზნით შექმნილი საბჭოს წევრი

2. უსახლკარო პირთა დრეობითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის წევრი

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

როგორც „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის" წევრი, აქტიურად ვარ ჩართული თვითმმართველი ერთეულის ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის, ენერგეტიკის და რეკრეაციის საკითხებზე შემოტანილ, საკრებულოს მიერ მისაღები დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტების წინასწარ განხილვასა და მათში შესაბამისი კორექტირების შეტანის პროცესში. რა თქმა უნდა ქალაქისთვის მნიშვნელოვანია საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განვიხილავთ არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვის საკითხს.

„ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის" ფარგლებში მონაწილეობას ვიღებდი არაერთი მნიშვნელოვანი საკითის გადაწყვეტაში, როგორიცაა: მუნიციპალური ქონების პრივატიზება და შესაბამის საფასურის დაწესება, მუნიციპალური ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა და ა.შ.

ჩემთვის, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, ამიტომ აქტიურად ვარ ჩართული „სპორტისა და ფიზიკური კულტურის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის" მუშაობაში.

„ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი“ აქტიურად განიხილავს შიდა საქალაქო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის პრობლემებს, ამ ჯგუფის წევრებთან ერთად აქტიურად ვიყავი და ვარ ჩართული აღნიშნული საკითხების განხილვაში.

მე, როგორც საკრებულოს წევრი, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ვესწრები ამომრჩევლებთან შეხვედრებს.

თარიღი: 30.10.2020

ხელმოწერა: კობა ჩალაძე